დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 32 ხუთშაბათი, 11 თებერვალი 1910 წ. № 32

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინაზება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა [illegible] კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЕБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი მაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ამა 1910 წელს 22 თებერვალს
ტფილისის „კრუჟოკის“
დარბაზში
გაიმართება

ჩვეულებრივი სათავად-აზნაურო ბალი

ტფილისის
სათავად-აზნაურო
გიმნაზიის
ქონების გასაძლიერებლად

ტანისამოსის ფორმა: სამხედროთათვის მუნდირი, დანარჩენთათვის ფრაკი ან ეროვნული ტანისამოსი.
შესასვლელ ბილეთის ფასი 2 მან. 10 კაპ.
ბალის დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ბალის დიასახლისი იულია კონსტანტინეს ასული **თუმანიშვილისა.**
(2—გაჯ.—1)

ეკატერინე დავითის ასული ბერძენიშვილისა შვილებით ურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქალ. ბათუმში ხუთშაბათს 11 თებერვალს სოუქსუს ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის—საყვარელი მეუღლის და მეორენის—ძვირფასის მამის

ყარამან ბიჭიას ძე ბერძენიშვილის
სულის მოსახსენებლად. (1—149—1)

წარმოდგენა № 34. ქართული თეატრი **წარმოდგენა № 34.**

ხუთშაბათს, 11 თებერვალს, 1910 წელს

◀ გასტროლი ნ. დ. დავითაშვილისა ▶

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ **ვლ. ხარ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით პირველად ქართულ სცენაზე პიესა ი. პოტაპენკოსი.**

მომხიბლავი ზღაპარი

4 მოქმედებად თარგ. შ. დავითაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, პ. შოთაძე; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, დ. მგალობლიშვილი, გ. მურვანიშვილი, ვ, მატარაძე, ი. ქივიძე, გ. იმხნელი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 75 კ.-მდე. გალერეია 50 კ.-დან 25 კ.-მდე. მოწაფეთათვის 50 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

ანონსი: 14 თებერვალს, ბენეფისი ტასო აბაშიძისა წარმოდ. იქნება შირვან-ზადეს პიესა **„ნამუსისათვის“** და **„გულმა იგრძნო“** მზადდება **„დანაშაული და სასჯელი“** დოსტოევსკისა და **„შავი ბერი“**.

რეჟისორი **ვ. ალექსი-მესხიშვილი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**
დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ქართული თეატრი

„ჯეჯილის“ საიუბილეო დილის წარმოდგენა

კვირას, დილით, 14 თებერვალს 1910 წ.

წარმოდგენილი იქნება: საბავშვო ერთმოქმედებიანი ვოდევილი

I
„მდგმური“
„ჯეჯილიდან“

II
კრილოვის იგავ-არაკნი
წაიკითხავენ გრიმებსა და ტანისამოსებში.

III
მუსიკალური
განყოფილება

IV
ცოცხალი სურათი

დასასრულ

მილოცვა

„ჯეჯილის“ 20 წლის არსებობის სახსოვრად.
დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე.
ადგილების ფასი დაკლებულია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
დილის გამგე **ექ. მესხისა.** რეჟისორი **ნ. გეორაძე** (5—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ.,
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
მუსხელიშვილი გ. ხ. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
ხოზოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—106)

თამბაქოს მწეველთა საყურადღებოდ!

თამბაქოს ფაბრიკამ სავ. სახ. **„ძმ. სეილანოვები“**
გამოუშვა შემდეგი უმაღლეს ხარისხის პაპიროსები:

„პრიმა“) 25 ც.—30 კაპ.
) 25 ც.—25 კაპ. **და** 10 ც 10 კაპ
) 25 ც.—15 კაპ. **და** 10 ც. 6 კაპ.
„ზეფირი“ და დელიკატნია) 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კაპ.
ვოსხოდი და რეფორმა 10 ც. 5 კაპ.
„არაძსი“ 10 ც. 3 კაპ. „მარსი“ 20 ც. 5 კაპ.
გთხოვთ გასინჯოთ. იყიდება ყველგან.
თამბაქოს ფაბ. სავ. სახ. **„ძმები სეილანოვები“.**
(15—ტ.—2)

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა

კოოპერაცია

(თეორია ისტორია და პრაქტიკა).
გამოცემა „შრომის“ სტამბის ამხანაგობისა.

შინაარსი: რა არის კოოპერაცია, კოოპერაციის მიზანი, ისტორია, სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლად. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში. **წიგნის ფასი 35 კაპ.**

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით. ერთი ცალის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома“ Василію К. Болквадзе. (10—ნ.—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
გ. ხ. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა,
ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—268)

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი

მ. ა. გაყონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.
ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:
(10—3) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში
ჩარექოვი
იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გზგუთის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—10

ექიმი კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზოვრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—364)

ექიმი ვ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—93)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—56

ექიმი მ. დ ბეთანოვი
ქუთაისში,
მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—14)

ექიმი შ. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კამგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—22)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—97)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი
ქუთაისში
იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის** სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12. საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—33.—19)

ექიმი ვასილ წერეთელი
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—113)

ექიმი კბილისა **რომანიშვილი-დგებუაძისა**
იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.
ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—13)

ექიმი დ. ახვლედიანი
იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი ვ. ლამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ა. ი. შჩერბინინა
ველიკოკნიაზის ქ., N 66, კრილოვის ქ. პირდაპირ. ავად. მიიღება 1—2 ს. ტელეფონი N 715. შინაგანი, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი. (100—1031—15)

ექიმი ა ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—51)

სოფ. საგარეჯოში

(ტფილისის მაზრა)

იყიდება

კარგად მოწყობილი აფთიაქი.
ფასი 1500 მან.
დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ქ. გორში, ქალაქის აფთიაქში. (2—ნ.—1)

მცირე შენიშვნები დიდ საქმეზე

„სამშობლო განსაცდელშია, სამშობლო იღუპება“, ამბობს სიტყვა. ჩვენდა საუბედუროდ, ეს სრული ჭეშმარიტებაა. ვიღუპებით! ტერიტორია ხელიდან გვეცლება, ენა ლამის არის დავიკარგონ, სულით ვეცემით. ხელოვნება, მწერლობა, თეატრი, ეკკლესია, ერთის სიტყვით, ყველაფერი ის, რაიც ერის არსებობას შეადგენს, უფსკრულის ნაპირს მიუახლოვდა. გადაგვარება, გადაფეროვნება და რაღაც უგზო უკვლოდ აქეთ-იქით გადახტომ-გადმოხტომა,—აი, რა არის ჩვენი დღევანდელ ცხოვრების დამახასიათებელი.

თითქმის გვესმის კიდეც, ნათლად ვხედავთ ჩვენს უბედურებას. ამას ხომ ორთავ თვალით ბრმაც დაინახავს. მაგრამ რას ვშვრებით და რას ვაკეთებთ? ვსტირით, ვგოდებთ, ვღაღადებთ „გვიშველეთ, ვიღუპებითო“, და... კი არას ვაკეთებთ. ძალაუნებურად მაგონდებიან ის ადამიანები, რომელნიც მახლობელს გულშეწუხებულს ირგვლივ შემოეხვევიან, იცემენ თავპირში, იგლეჯენ თმას, გაჰკივიან: „გვიშველეთო“, და ერთსაც არ მოუვა აზრად, გაანძრიოს ხელი, აიღოს ლიტრა და წყალი მაინც შეასხას შეწუხებულს.

საზოგადოდ ჩვენ, ქართველებს, ჩვეულებადა გვაქვს ჩვენ ბედ-იღბალზე ჩივილი... და მარტო ჩივილი. თითქოს ვიღაცას გვინდა შევაბრალოთ ჩვენი თავი. თითქოს საიდგანღაც მოველით შველას. ტყუილად კი არ ამბობდა ბ-ნი გოგიჩაიშვილი, რომ ჩვენ ყოველთვის სხვისა იმედით ვცხოვრობთო...

ტერიტორია გვეკარგებაო და ვაძაგებთ, ვამტყუვნებთ მემამულეებს. ის კი გვავიწყდება, რომ ამ კუთხის გმირებს სამშობლოსი რამე რომ სწამდეთ, უჩვენოდაც არ გაჰყიდიდნენ ტერიტორიას და აზრშიაც კი არ მოუვიდოდათ იგი. ზოგი მათგანი ყურსაც არ იბერტყავს ჩვენ გოდებაზე, ზოგნი კი გამოდიან და ხმა მაღლა თავსაც იმართლებენ. „მაშ რა ვქნათ? მამული დაგირავებულია, გვშიან, ქართველი გლეხი არა ყიდულობს, ან არა და ძალიან ნაკლებ ფას გვაძლევს... ჩვენ კი არა თუ ვალის მოშორება, ზედ მეტ თანხის შეძენაც გვჭირია... მაშ ჭამა არ გვინდა, ცხოვრება არ გვინდაო“.

ვის ვებრძვით, ვის რაში ვარწმუნებთ? საცა კუჭი, ჭამა-სმა და გაუმაძღრობაა, სამშობლოს სიყვარულზე, ეროვნულ გრძნობაზე უქადაგებთ... მოდი და ნუ მოიგონებთ „მგლის-თავსა და სახარებას“.

ბოლო დროს თითქოს ვიგრძენით, რომ ეს საქმეს ვერ გამოაკეთებს და ახლა ეროვნულ ბანკის დაარსებას მივმართეთ. ეს საქმეს მიემსგავსება, თუმცა აქაც მაგონდება „პეტრეს მოსვლამდე პავლეს გატყავება“, მაგრამ ჯერ-ჯერობით სხვა საშუალების მოპოვება ძნელია. ვინ იცის, იქნება ზოგიერთი მამულის გამფლანგველიც სინიდისმა შეაწუხოს და მოგებიდან ცოტაოდენი ამ ბანკის სასარგებლოდ გაიმეტოს!

ერის სიძლიერე უბედურობის დროს განიზომება. სწორედ კრიზისის დროს გამოჩნდება ხოლმე რამდენად ძლიერია ეროვნული გრძნობა ხალხში, რამდენად ღირსია და შემძლებია ესა თუ ის ერი საკუთარ ეროვნულ ცხოვრებასა. დღეს უმთავრესი საკითხი ჩვენთვის ტერრიტორიის დალუპვაა და აი სწორედ აქ უნდა გამოვიჩინოთ ჩვენი ეროვნული ღირსება და მომავალზე ჩვენი უფლება. ისიც მართალია, რომ ქონებრიობის მხრივ ჩვენზე ლატაკი ძნელად მოიპოვება. მაგრამ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ერის სიძლიერე მარტო ნივთიერ სიმდიდრით არ განიზომება. ეროვნული გრძნობა, თვითშეგნება, ეროვნულ მუშაობის მოწადინეობა კერძო ინტერესების საზოგადო ინტერესებისთვის შეწირვაა. აი, ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდება ერის სიძლიერე, და თანაც მოჰყვება ნივთიერი სიმდიდრე და, საზოგადოდ, ეროვნულ კულტურის აყვავება. მაგრამ რომ ეს მკვიდრი და მეტად ნაყოფიერი და ხანგრძლივი იყოს, აუცილებლად საჭიროა ეროვნულ მუშაობაში ფართო მასსის მონაწილეობა. დღეს ეროვნული გრძნობა, განათლება, ეროვნულ საკითხებზე სჯაბაასი მარტო ინტელიგენციის პრივილეგიაა. კულტურული მუშაობა სწარმოებს მარტო უმცირესობის ვიწრო წრეში.

კაცობრიობის ისტორია გვასწავლის, რომ ის ცივილიზაცია, და კულტურა, რომელიც ჩასახულად განვითარებულია მარტო უმცირესობაში, ერთ საზოგადოებრივ კლასში, გინდ იგი მეტად ნიჭიერი და გონების მხრივ მდიდარიც ყოფილიყო, ხოლო ფართო მასსა კი ამ კულტურულ მუშაობის გარეშე იდგა, ამგვარ ცივილიზაციას, ამგვარ კულტურას თვით თავის არსებაში დაჰქონდათ დაცემის მიზეზები. და ერთ უმთავრეს მიზეზთაგან აქ იყო ის გაუვლელი საზღვარი, რომელიც იდო უმცირეს კულტურულ ჯგუფისა და განუვითარებელ შორის. ამას გარდა კულტურული ჯგუფი, მოკლებული ახალ ძალებს, მალე სათუთნოებაში ვარდებოდა, გადაგვარების გზას ირჩევდა და ეროვნულ ნიადაგს მოშორებული, თავის თავად ეცემოდა და იღუპებოდა, თუნდაც გარეშე პირობებს არავითარი მონაწილეობა არ მიეღოთ იმის დანგრევაში.

ვგონებ დღეს ჩვენც ამნაირი უბედურობა დაგვტრიალებს თავს. რასაკვირველია, ყოველ ერის კულტურის განვითარებისათვის საჭიროა მოწინავე რაზმი, უმცირესობა, გონების მხრივ მასსაზე უფრო უხვად შემკული, რომელიც უფრო სწრაფად ითვისებს კულტურულ დაწყებულებას, აფართოვებს მას და გარეშემო მყოფ პირობების ძალით უფრო ადვილად იკვლევს კულტურულ გზას. მაგრამ აუცილებლად საჭიროა მას თან მისდევდეს მასსა, და ყოველი კულტურული ნაპოვარი თან და თან ამ მასსას გადაეცეს ხოლმე. მასსა ითვისებს და ინახავს გადმონაცემებს, აგროვებს ახალ-ახალს, და აი სწორედ ამ შეთვისებულ გადმონაცემების თანხაა მაჩვენებელი ერის კულტურულ ღირსებისა და ძლიერებისა, და ამისთანა შეუდარებელი დამფასებელი იმ მოწინავე ჯგუფის ღვაწლისა და შრომისა, რომელიც სათავეში უდგას მასსას. რაც უნდა განვითარებული და მაღალ კულტურის მატარებელი იყოს ერის მოწინავე უმცირესობა, ე. ი. ინტელიგენცია, რამდენი ჰგენიოსი მეცნიერი და მწერალიც უნდა ჰყავდეს, ამით ეროვნულ კულტურის სიმკვიდრე და ღირსება ვერ გაიზომება, თუ თვით მასსაში არა აქვს მას ფესვები გადგმული.

ტერიტორიას, როგორადაც ერის არსებობის გამოუყოფელ ნაწილს, რასაკვირველია, კულტურულ განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ძნელი წარმოსადგენია ისეთი ერი, რომელსაც უტერიტორიოთ თავისებური, დამოუკიდებელი კულტურა ჰქონდეს. მისი განვითარება ძალაუნებურად მეზობელ ერთა დიდ გავლენის ქვეშ არის და უფრო ხშირად იმათებურ სახეს იღებს.

დღეს ჩვენ მარტო ტერიტორია და ენაღა შეგვრჩენია ეროვნების ქონებიდგან და ადვილი ასახსნელია, რად

ვგოდებთ და ვტირით ტერიტორიის დაკარგვაზე. აქ ჩვენ ვიმეორებთ ზემოდ დასმულ კითხვებს: რას ვაკეთებთ და, დავუმატებთ, რას ვაკეთებდით ამის წინაამდეგს?

თუ კი ეროვნულ კულტურის განვითარებისთვის ტერიტორია აუცილებლად საჭიროა და თვით კულტურის მტკიცე და ნაყოფიერი წარმოება მასსაზეა დამოკიდებული, რას ვაკეთებდით, და რას ვაკეთებთ რომ თვით მასსაში მოგვემზადებინა ნიადაგი და პირობები ტერიტორიის დაცვისა და გაფთხილებისათვის? არაფერს! ჩვენ სულ სხვა მხრიდან შევუდექით საქმეს. გვესმოდა კარგად, რომ მიწა-წყლის დაკარგვა ჩვენი ერის დაღუპვას მოასწავებდა, და აღგზნებული ამით მივმართეთ იმ ვაჟბატონებს, რომელთათვის მამულიც და სამშობლოც არარაობაა. ამათ ვეხვეწებოდით, ვსთხოვდით, ვარცხვენდით, ვუმტკიცებდით, რომ სამშობლოს ღუპავენ, მაგრამ ამაოდ. მათ თავისი არ დაიშალეს და არც იშლიან. ისინი ისევ თავიანთ „ან-ბან ციკან თხას" გაიძახიან. და თუ დავუკვირდებით მათ ფსიხიკას, მათ მორალურ და სოციალურ გრძნობას, მათ სხვანაირად მოქმედებაც არ შეუძლიანთ.

ჩვენ რომ აქამდისაც დრო არ გვეკარგა და მასსაში ტერიტორიის დაცვის შესახებ გვემუშავნა და თანაც „ბანკის" საქმეც მოგვეწყო, იქნებ ახლა მოგვეხერხებინა ბრძოლა მამულის დაკარგვის წინაამდეგ. თვით მასსაც, ცოტაოდნადაც მაინც მომზადებული ამ მხრივ, რასაკვირველია „ბანკს" მხარს დაუჭერდა და საქმეც ბევრად გაადვილდებოდა.

მაგრამ წარსულს ვერ დავიბრუნებთ, და ახლა მაინც შევუდგეთ ნამდვილ საქმეს. ბ-ნ პ—ჭ—ას მიერ განზრახული ბანკი*) მეტად კარგი რამ არის, მაგრამ მისი განხორციელება ტეხნიკურის მხრით მეტად ძნელად მიმაჩნია, რომ კიდეც ბოლოს და ბოლოს ამ საქმეში გავიმარჯვოთ, ამისთვის დიდი დროა საჭირო, მამული კი ახლავე გვეცლება ხელიდან. იქნება უფრო შესაძლებელი იყოს ამ მიზნით კერძო ამხანაგობის დაარსება. ნუ თუ მთელს ჩვენს საქართველოში არ მოიპოვება 500—1000 მამულიშვილი, რომელთაც შეეძლოთ თითოს ახლავე 50—100 მანეთის გამოღება?! ეს ისეთს თანხას შეადგენს, რომ საქმის დაწყება შესაძლებელი გახდება. დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ გამოჩნდნენ ინიციატორები და მხნედ მოჰკიდეს ხელი ამხანაგობის დაარსებას, ადვილად განხორციელდება იგი.

ტერიტორიის შერჩენა, ვისაც კი რაიმე ეროვნული და მშობლიური სწამს, ყველასათვის სასურველია, მიუხედავად პარტიობისა, მიმართულობისა, წოდებისა და სხვა და რომ ჩვენში არ მოიპოვება რამდენიც ზემოდ ვთქვით მამულიშვილი, რომ ამ საქმისთვის გამოიღოს თითომ 50—100 მან., მაშინ ამაოა ბაასი ტერიტორიის შერჩენაზე, ბანკების დაარსებაზე, ეროვნულ გრძნობაზე და თვით ერის მომავალზე...

ამნაირ ამხანაგობის შედგენა სრულიადაც არ უარჰყოფს ბ-ნ პ—ჭ—ას მიერ განზრახულ ბანკის დაარსებას. პირიქით, ვგონებ პირველი უფრო კარგს ნიადაგს მოუმზადებდეს მეორეს. ეროვნულ ბანკის დაარსება მით უფრო სასურველია, რომ შესაძლოდ ხდის საერთო ეროვნულ საქმეში მასსის მონაწილეობას, და აქედან დაწყებული საქმე სწორედ იმ გზაზე დაგვაყენებს, რომელიც აუცილებლად საჭიროა ეროვნულ კულტურის გაფართოვებისა, აყვავებისა და დამკვიდრებისთვის.

ზემოდ აღნიშნული ამხანაგობა „პირველი შველაა" და სწრაფადაც მისაღებია, ვინაიდან ავადმყოფი ძლივს ლა სულთქავს. დროს დაკარგვა დიდი ცოდვის ჩადენაა. ამიტომ დავაჩქაროთ საქმე. ახლა მაინც ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ ჩვენც რაიმე შეგვიძლიან, რომ ჩვენზე ვერა სთქვან: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა—შუა უდევს დიდი ზღვარიო". მაშ საქმე, საქმე და საქმე!

ხოხო.

---

*) იხ. „დროება" N 24.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გუშინდელ „ზაკავ."-ში დაიბეჭდა ბ-ნ ლევან ყიფიანის მეორე წერილიც. ბ-ნი ყიფიანი მოგვითხრობს უმთავრესად უკანასკნელ დროის ამბებს, იმას, რაც მოხდა ვერის დაღმართის უბედურების წინა დღეებში და იმის შემდეგ. ლ. ყიფიანს, როგორც თითონ გადმოგვცემს, ამ ხანებში დაუწერია ცხარე წერილები ტრამვაის შესახებ. ზოგი წერილი დაბეჭდილა, ზოგი მირზოევს აუკრძალავს. ამით ამტკიცებს ბ-ნი ყიფიანი, რომ მოსყიდული არა ყოფილა უსახელო საზოგადოებისაგან.

ერთი რამ ავიწყდება ბ-ნ ყაფიანს. ყველა გაზეთში აღნიშნული იყო, რომ იგი რამდენიმე თვის წინად თვეში 120 მანეთს იღებდა. იღებდა იმ ფულიდან, რომელსაც უსახელო საზოგადოება ბ-ნ მირზოევს აძლევდა. ამას ჩვენ კი არა, სხვები ამბობენ და სწერენ. თვით „ზაკავკაზიეს" იმ ნომერში (10 თებერვლისა), რომელშიაც მოთავსებულია ბ-ნ ყიფიანის წერილი, აი, რასა სწერს სტ. ჰრელაშვილი.

„ჩემი (ესე იგი ჰრელაშვილის) საზღვარ-გარეთიდან დაბრუნების დროს, ს. ზ. მირზოევმა მთხოვა გადამეცა ბ-ნთ ყიფიანისა და ნაგურსკისათვის, რომ „პრესის სინდიკატის" საქმეები კარგად მიდის და რომ მან (ესე იგი მირზოევმა) განკარგულება მოახდინა, **შემდეგშიაც მიეცეთ მათ დაპირებული თვიური ჯამაგირი**".

ამაზე, იმ ფულზე, რომელსაც, გაზეთებისა და სხვების მოწმობით, ბ-ნი ყიფიანი უსახელო საზოგადოების მიერ გადადებულ სუბსიდიიდან იღებდა, ბ-ნი ყიფიანი კრინტსაც არა სძრავს. ეს კი უმთავრესია და საჭირო იყო ამისთვის ანგარიშის გაწევა...

⁂

ქუთაისს კვლავ დაუდგა „ბანკობის" დრო. როგორც ვიცით, მთავრობამ ნება დართო ქუთ. სათავადაზნაურო ბანკს აირჩიოს ბანკის გამგე. რამდენიმე წელიწადია გამგეს მთავრობა ნიშნავდა. არჩევნები 20 თებერვალს უნდა მოხდეს. მაგრამ „მუშაობა" ადრე დაწყებულა. ეს იმ წერილებიდანა სჩანს, რომელიც უკვე იბეჭდება რუსულ გაზეთებში. ერთი ასეთი წერილი, ვიღაც კონ. იაკოვლევისა, გუშინ-წინდელ „ზაკავკაზიე"-ში დაიბეჭდა. ეს წერილი სავსეა გ. ფ. ზდანოვიჩისა და კ. აბაშიძის ლანძღვა-გინებით. ამათ თვითონ წამოაყენეს თავიანთი კანდიდატურაო და სხვა. სამაგიეროდ ავტორი ქება-დიდებით იხსენიებს კალ. ჩიკვაიძეს—დიდად ღირსეული კანდიდატიაო. მკითხველი, განსაკუთრებით ქუთათური, ადვილად მიჰხვდება, საიდგან მომდინარეობს ამ გვარი მღვრიე ნაკადული. ეს ჩვეულებრივი საარჩევნო ხრიკია.

მაგრამ უფრო საყურადღებოა თვით „ზაკავ."-ს რედაქციის აზრი. იგი გუშინდელ ნომერში უსაყვედურებს თავის ორ კორესპონდენტს—მიუდგომლობა ვერ გამოიჩინეთ და უსაბუთოდ გალანძღეთ საზოგადო მოღვაწეებიო. „განსაკუთრებით,—განაგრძობს რედაქცია,—კონსტ. იაკოვლევს არ უნდა ეკადრებინა პატივცემულ საზოგადო მოღვაწეებისთვის შეუფერებელი სიტყვებიო".

რედაქციას ასეთი წერილები (იაკოვლევისა და მეორე კორესპონდენტისა) მოუთავსებია მიუდგომლობის პრინციპის დასაცველად. კარგი პრინციპია სწორედ: იცის, რომ წერილი უსაბუთოა, ცილისწამებით და უაზრო ლანძღვა-გინებით სავსე და მაინც ჰბეჭდავს!..

დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

10 თებერვალი.

საზღვარ-გარედ.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ: ტყუილია ის ხმა, ვითომ ოსმალეთის სულთნად ნამყოფი აბდულ-ჰამიდი გარდაცვლილიყოს.

დეპუტატთა პალატა. პრეიმერ-მინისტრმა ასკვიტმა განაცხადა: პალატა ამ სესიაში ბიუჯეტის გარდა განიხილავს ლორდთა პალატის საკითხსაც. ბიუჯეტს ხელ-ახლად შემოვიტანთ პალატაში. ბიუჯეტი განხილულ უნდა იქმნეს აღდგომამდე. ბიუჯეტი ლორდთა პალატას არ გადაეცემა, სანამ დეპუტატთა პალატა არ განიხილავს ლორდთა და დეპუტატთა პალატების დამოკიდებულების საკითხს. ამ დამოკიდებულების გამოსარკვევად მთავრობა განსაკუთრებულ კანონ-პროექტს შემოიტანსო.

პრაგა. გაზეთი „ნაროდნი ლისტი" იცავს კრამარჟის პატრიოტიზმს და, სხვათა შორის, სწერს: ჩეხებს მარტო ჩეხური პატრიოტიზმი სწამთ და ავსტრია ამითი უნდა დაკმაყოფილდეს. მთავრობის მოვალეობაა ეცადოს, რომ ავსტრიას გერმანული სახე არ ჰქონდეს: ესაა მიზეზი, რომ ჩვენ სლავიანთა პოლიტიკას ვაწარმოებთ და კონგრესებს ვესწრებით. მარტო ავსტრიის გერმანელებს არა აქვთ უფლება მიგვითითონ ხოლმე ავსტრიის საზღვრის იქით მცხოვრებ გერმანელებზე. ჩვენც მარტონი არა ვართ ამ ქვეყანად. ჩვენ ვასწავლით მთავრობას თუ როგორ უნდა განთავისუფლდეს სლავიანთა მიერ გამოწვეულ შიშისაგან, ეს გახლავთ—სამართლიანი მოქცევა სლავიანებისადმი.

ათინა. გაზეთი „ატენე" იუწყება, დაიწყო მოლაპარაკება, რომ დეპუტატთა პალატაში წინადადება საბერძნეთის ეროვნულ კრების შესახებ 15 თებერვლამდი იყოს შეტანილიო.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. სეფე-სიტყვის განხილვის დროს უნიონისტების ლიდერმა ბალფურმა განაცხადა, გვიხარიან, რომ სეფე-სიტყვა საზღვაო ხარჯების გადიდებას გვპირდებაო. შემდეგ ილაპარაკა პრეიმერ-მინისტრმა ასკვიტმა. მან სთქვა: მეფეს არავითარ გარანტიებს არა ვსთხოვ, რადგან პოლიტიკურ საკითხების განხილვის დროს პასუხის-მგებელი სახელმწიფო მოღვაწე მოვალეა „რამდენადაც შეუძლიან" არ შეეხოს მეფის სახელს და უფლებებს. მთავრობამ თავისი ბედი ბიუჯეტს და ლორდთა პალატის უფლებების შეკვეცას დაუკავშირა. მთავრობა არაფერს დაერიდება, თავის არსებობასაც კი, და შეეცდება ამ საკითხების განხორციელებასო.

ირლანდიელების ლიდერმა რედმონდმა განაცხადა, თუ მთავრობა გარანტიას მოგვცემს, რომ ლორდთა პალატას „ვეტოს" უფლება ამ წელსვე ჩამოერთმევა, ირლანდიელები ბიუჯეტს დაუჭერენ მხარსო.

კონსერვატორების გაზეთების აზრით მთავრობა ისეთ ცუდ გარემოებაშია, რომ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. ლიბერალური გაზეთები პესიმისტურად უყურებენ პრეიმერ-მინისტრ ასკვიტის განცხადებებს და სწერენ, თუ სამინისტრო ირლანდიელებთან არ შეთანხმდა, აუცილებელია მისი გადადგომაო.

მაინის-ფრანკფურტი. „ფრანკფურტ-ცაიტუნგს" ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: გერმანიის კონსულმა კანეაში კრიტის მთავრობას მოსთხოვა, შემატყობინეთ სია იმ ბერძენ აფიცერთა, რომელნიც კრიტის ჟანდარმერიაში მსახურებენო. კრიტელებს ეშინიანთ, რომ მფარველმა-სახელმწიფოებმა ბერძენ აფიცრების გადაყენება არ მოითხოვონ.

ვენა. გერმანელები ძალიან უკმაყოფილონი არიან მინისტრის, შრეინერის გადადგომით. შრეინერის გადადგომა მოითხოვეს ჩეხმა—დეპუტატებმა. ჩეხური პრესსის აზრით შრეინერის გადადგომა ძალიან მცირე დათმობაა.

ბერლინი. ოფიციალური წრეები ირწმუნებიან, ტყუილია კანეიდან მოსული ცნობა, ვითომ გერმანიის კონსულს კრიტის მთავრობისათვის კრიტის ჟანდარმერიეში მოსამსახურე ბერძენ აფიცერთა სია მოეთხოვოსო.

ბერლინი. ლანდტაგის კომისიამ მიიღო ცენტრის და კონსერვატორების შეერთებული წინადადება არა პირდაპირ და ფარულ არჩევნების შემოღების შესახებ. მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, მთავრობა ვერ მიიღებს ამ წინადადებასაო.

ფილადელფია. დაატიმრეს ტრამვაის გაფიცულ მუშების მეთაური. მუშათა ცენტრალურ კავშირის გამგეობამ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა.

სევილია. მეფემ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლითაც პოლიტიკურ დამნაშავეებს სასჯელი ეპატიებათ.

პარიზი. გარეშე საქმეთა მინისტრმა მიიღო მაროკოს ელჩი ელმაკრი: ელმაკრიმ პიშონს გადასცა მაროკოს სულთანის მულაი-გაფიდის წერილი. მულაი-გაფიდი ამ წერილით პიშონს ატყობინებს, ამტკიცებს იმ ხელშეკრულობებს, რომლებსაც პარიზში მაროკოს ელჩმა ხელი მოაწერაო.

რუსეთი

ხარკოვი. ქალაქის საბჭომ დაადგინა შემოიღოს ქალაქში საყოველთაო სწავლება. ამას გარდა საბჭომ პარიზში დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდო 1000 მანეთი. ამავე მიზნისთვის ქალაქში მოაგროვეს 18,000 ფრანკი.

მოსკოვი. ჩამოვიდნენ საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატები და სენატორები. სადგურზედ სტუმრებს დაუხვდნენ ქალაქის თავი, ქალაქის გამგეობის წევრები, ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარე კრესტოვნიკოვი, საფრანგეთის კონსული და სხვები. საუზმის შემდეგ დეპუტატებმა დაათვალიერეს მოსკოვი. სენატის მოედანზედ დეპუტატებს აღარებილი ხალხი „გაუმარჯოს საფრანგეთის" ძახილით მიეგება. შემდეგ სტუმრების პატივსაცემლად გაიმართა ნადიმი. ნადიმზედ ბევრი სადღეგრძელო წარმოითქვა. ილაპარაკეს კრესტოვნიკოვმა, ფრანგების კოლონიის წარმომადგენელმა, დესტურნელ-დე-კონსტან ა, ქალაქის თავმა, დეპუტატებმა ლერუამ და მონიემ, მაკლაკოვმა, სტახოვიჩმა და სხვებმა. მეორე დღეს, 10 თებერვალს ქალაქის საბჭოს სადგომში გაიმართა ნადიმი. დალიეს ხელმწიფე-იმპერატორის, საფრანგეთის პრეზიდენტის, მოსკოვის და სხვა სადღეგრძელოები. ნადიმი კონცერტით დამთავრდა.

პეტერბურგი. სენატმა არ დაამ-

ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი

კაცობრიობის ტრაგედია.

16 *)

ყოველს პიროვნებაში, ხშირად სუსტად და შეუგნებლად, ხშირად მძაფრად და შეგნებულად, სცხოვრობს ლტოლვა გაარღვიოს და გააფართოოს თავისი ინდივიდუალური საზღვრები, უნივერსალურს პრინციპად აქციოს თავისი ინდივიდუალური პრინციპი. ძლიერს შინაგანს დრამას ჰშობს განვითარებულს პიროვნებაში ამ ლტოლვის შეტაკება სოციალურს ინსტინქტთან, ძლიერს ფსიხიურს და ეთიურს საფრთხეს წარმოადგენს ის ადამიანისთვის.

მართალია, სოციალური ინსტინქტი ძლიერდება კულტურულს განვითარებასთან ერთად, სწავლა, კვლევა-ძიება, მეცნიერება, ხელოვნება და საზოგადოდ ყოველგვარი სულიერი შემოქმედება ერთის მხრივ უეჭველად აახლოვებს ადამიანთ ურთიერთს შორის. აქ ადამიანი ჰგრძნობს გულწრფელს მოთხოვნილებას; ის სიხარული და იმედი თუ ეჭვი და უიმედობა, რომელსაც მას მეცნიერული და ესთეტიური განცდა უმზადებს, სხვასაც ანდოს, სხვასაც გაუზიაროს და თვით ამ უმაღლეს სფერათა შინაგანი ხასიათი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ამ მოთხოვნილებას. პირიქით: მაშინ როცა ფიზიკურ მოთხოვნილებათა თვისება ისეთია, რომ მათი დაკმაყოფილება ხშირად განკერძოებას, მარტოობას ჰგულისხმობს, უმაღლესი სულიერნი განცდანი ერთობაზე, სოციალობაზე არიან დაფუძნებულნი.

მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა დაგვავიწყოს, რომ ეს დაახლოვება, განსაზოგადოებრივობა ხშირად მხოლოდ გარეგნული და ზეზერეულია და თავის სიღრმეში შესამჩნევ ინდივიდუალურს განსხვავებებს ატარებს. „კრეიცერის სონატას" ან „მეცხრე სიმფონიას" მთელი ზალა ერთად უსმენს, მილლეს პეიზაჟს და ო. როდენის ქანდაკებას ათეულნი და ასეულნი ერთად შესცქერიან, მაგრამ თვითეულს ერთსა და იმავე ობიექტიურს ხელოვნურს ნაწარმოებში თავისი განსაკუთრებული სუბიექტური სული შეაქვს, თავისი განსაკუთრებული სიხარული თუ ტანჯვა, ბედი თუ უბედობა, სასოება თუ სასოწარკვეთილება და ბევრი სხვა გამოუთქმელი, გაუგებარი, განუმეორებელი, ნარნარი ფსიხიური მოძრაობა. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ მუსიკა. ეს ხელოვნება ყველაზე პრიმიტიული და ყველაზე მაღალი ერთსა და იმავე დროს, ეს ხელოვნება ერთის მხრივ იმდენად უნივერსალური და გასაგები, რომ იგი ადამიანს ცხოველთანაც კი აერთებს და იმდენად მიუწდომელი და გაუგებარი, მეორე მხრივ, რომ შეთვისება მხოლოდ რჩეულთა ხვედრი ჰხდება, აშკარად მოწმობს, რომ უდიდესი სოციალობა და უნივერსალობა უდიდეს ინდივიდუალობას და სუბიექტივობას ჰგულისხმობს თავას კორელატად.

მართლაც, როგორც კულტურული კაცობრიობა წარმოუდგენელია ეროვნულ განსხვავებათა და წინააღმდეგობათა გარეშე, ისე განვითარებული საზოგადოებაც შეუძლებელია იქ, სადაც ძლიერი ინდივიდუალური თვისებურება, განუმეორებლობა და ბრძოლა არ არსებობს. ძლიერი მუსიკალური ნაწარმოები უმაღლეს სულიერების გამოსახატავად ლეიტმოტივთან და კონსონანსთან ერთად აუცილებლად ქვემდებარე მოტივებს და დისონანსსაც საჭიროებს, ხოლო ძლიერი საზოგადოებრივობა--ინდივიდუალურს ნიჭთა განსხვავებას, კონკურენციას, შეტაკებას. დიფერენციაციას და დისჰარმონიას მოკლებული საზოგადოება უთვითმიქმედო და უსუსურია, როგორც ერფეროვანი, მოსაწყენი სპარსული მუსიკალური მელოდია.

ესაა უბედურება თანამედროვე ადამიანისა, რომ მისივე ცხოვრების კულტურული სიმდიდრე და მრავალმხრივობა მის ტრაგიკულ კონფლიქტების დაუშრეტელს წყაროდ გარდაიქცა. მაგრამ სოციალურ დიფერენციაციის ზრდით და მისგან გამომდინარე წინააღმდეგობებით კიდევ არა თავდება კულტურულ კაცობრიობის სულიერი დრამა. თანამედროვე ადამიანი უბედურია უწინარესს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი ობოლია. თითქო მასზეა გამოჭრილი ის სიტყვები, რომელნიც ცნობილმა გერმანელმა ფსიხოლოგმა ტეოდორ ლიპსმა საზოგადოდ იხმარა: „ჯერ არ მომხდარა, რომ ერთს ადამიანს მეორე ადამიანი, ესე იგი, მისი სული დაენახოსო".

მართლაც, რამდენად უფრო ბედნიერია ამ მხრით ჰილოცოისტური, პირველყოფილი შეგნება: მას სწამს თავისი ნათესაობა ყოველს არსებასთან, ისე ყოველგან მსოფლიოში იგივე სულიერს მოძრაობას სჭვრეტს, რომელიც მისავე ბუნებაში ჰფეთქს, მისი „თანაგრძნობა" ფართოვდება ცხოველსა, მცენარეებსა, ლოთონისადმი. მისთვის დუალიზმი სულსა და სხეულს შორის არ არსებობს, იგი უსულო, მკვდარს მატერიას ვერსად ჰხედავს. ყოველი საგანი სულჩადგმულია, ყოველი სულიერი მატერიალურია. მაგრამ ჰილოტოიზმი გაჰქრა და მისი ადგილი მატერიალიზმმა, იდეალიზმმა და დუალიზმმა დაიჭირა, რომელთა გავლენის ქვეშ იმყოფება მთელი თანამედროვე პოპულარული და მეცნიერული აზროვნება. დეკარტის დუალისტური ფილოსოფია სდგას ახალ დროების შესავალში: სული მოაზროვნე არსებაა გრძნეულებისთვის მიუწდომელი, მატერიალურისაგან სავსებით განსხვავებული. მატერია, პირიქით, მკვდარი, პასსიური პრინციპია, მექანიკურ ძალების მატარებელი. მცენარე, ცხოველი მოხერხებულად შეწყობილი ავტომატია, უსულო, უგრძნობო. მეთვრამეტე საუკუნის მატერიალიზმისთვის, რომელიც ხშირად თავის თავს სამართლიანად დეკარტის მემკვიდრედ აღიარებს, მანქანა არის თვით ადამიანიც, მექანიკური ავტომატი, აუცილებელ ფიზიკურ ძალებით სავსებით განსაზღვრული.

სული სადღაა? სული სადღაც გაჰქრა, მიიმალა „პატარა ტვინის" ქვეშ ან „ატომთა ერთობაში", რომლის წარმოდგენა არავის შეუძლიან; სული იდუმალს მისტიურს მოჩვენებად გარდაიქცა, რომელიც ყველგანაა, მაგრამ არსად ერთსა და იმავე დროს. თანამედროვე ადამიანი ყველგან ამ ცხოველმყოფელს სულს ეძებს, მაგრამ ვერსად პოულობს. ყველგან „გარეგნული გამოხატულება" სულისა, ყველგან „შავი ნიღაბი", რომლის უკანაც, ვინ იცის, რა იმალება! რასაც შენ შენს თანაარსში ჰხედავ, ის მხოლოდ სხეულია, მატერიალური გარეგნობა, ხორციელი გამომეტყველება. სხვისი არსება, სხვისი მე კი შენთვის მუდმივი საიდუმლოებაა, მუდმივ აუხსნელი ამოცანა, „დაფლული ტაძარი", რომლის შინაგანი აკლდამები წყვდიადით არის მოცული. ვინ არის თავმდები, რომ იმის სიცილს უკან მართლაც მხიარულება, ხოლო ტირილსა და ცრემლებში მწუხარება იმალება? განა მასხარა კლოუნის ნიღაბი ხშირად უსაშინელეს სულიერს დრამას არა ჰფარავს, განა დემონისებურ წარმტაც წამოსახამის ქვეშ ხშირად უნიჭო და უშინაარსო მსახიობობა არ იმალება?.. უბედურია თანამედროვე ადამიანი, იმიტომ რომ ამაოდ ეძებს მას, რაც ყველაზე უძვირფასესია იმის თანაარსში; ობოლია იგი და შესაბრალისი, როცა მთელის საშინელებით განიცდის მახლობელ არსების არ-ცოდნასა, უმძაფრესს და უსასტიკესს ყოველს არცოდნათა შორის.

მაგრამ ყოველს შემთხვევაში კიდევ უფრო უბადრუკი და შესაბრალისი ის პიროვნება თუ ეროვნებაა, რომელმაც არა თუ სხვისი, თავისი საკუთარი, ისტორიულად განმტკიცებული სულიერი მე დაჰკარგა, რომელმაც თვით აღარ იცის თავისი ვინაობა და რომელიც ყოველს მომენტში ანდრეევის ლორენცოსავით მზადაა თავისივე თავი განგმიროს. ეს უკვე ნამდვილი ტრაგიზმი არაა: ეს ფარსია, რომელიც მხოლოდ ძლიერ სამწუხაროდ თავდება...

მიკროკოსმოსზე უფრო დიადი სფინქსი მთელი მაკროკოსმოსია. რაც უფრო ფართოვდება ჩვენი მსოფლიო ჰორიზონტი, მით უფრო იზრდება მისი საიდუმლოება. ედუარდ კარპენტერმა („თანამედროვე მეცნიერება" ლეო ტოლსტოის თარგმანი მოსკ. 1898 წ.) სამართლიანად შენიშნა, რომ ჩვენ არსებითად არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ისეთ უბრალო და ზეციურ მექანიკის მიერ თითქო უკვე უცილობლად გამორკვეული მოვლენა, როგორც, მაგ., მთვარის მიმოქცევა დედამიწის გარშემო, მთვარის გზა **ელლიპსისი იქმნებოდა**, სამყაროში მისსა და დედამიწის გარეშე რომ არარა ყოფილიყო; მაგრამ ეხლა სინამდვილეშ მასზე, უწინარეს ყოვლისა, მზე აჩენს თავის გავლენას და, მაშასადამე, მთვარის მიმოქცევა სწორ ელლიპსისი არ არის; შემდეგ სხვ უთვალავი ვარსკვლავებიც, რომელ თა გავლენის გათვალისწინება სრულიად შეუძლებელია ჩვენის აზროვნებისთვის. ამას გარდა, მთვარ დედამიწასთან ერთად მზის გარშემოც ტრიალებს და, მაშასადამ მისი მსვლელობის გზა კიდევ უფრო რთულდება. და ბოლოს მზესთან და მთელს ჩვენს სისტემასთან ერთად მიჰქრის სადღაც ჰერკულესის თუ სხვა რომელიმე სისტემისკენ, ან შეიძლება ტრიალებ ჩვენთვის მიუწდომელ ცენტრის გა

---

*) იხ. „დროება" № 30

ტკაცა საზოგადოება პალესტინას წესდება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ებრაელების პალესტინაში გადასახლებას. სენატის აზრით ამ საზოგადოების და სიონისტების მიზნები ერთგვარია. სიონისტების მიზანი კია, გააცალკევონ ებრაელები, რაიც ადგილობრივ მცხოვრებლებსა და ებრაელებს შორის განხეთქილებას იწვევს.

ვარშავა. შოპენის გარდაცვალების ასი წლის თავზედ კათოლიკეთა წმ. ჯვრის ეკლესიაში გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი. ფილარმონიულმა საზოგადოებამ გამართა კონცერტი. შემოსავალი მოხმარდება შოპენის ძეგლს.

ლოძი. დააპატიმრეს სამი ყაჩაღი, რომელთაც პაბიანიცის გზატკეცილზედ ვაჭრები გაცარცვეს.

დონის-როსტოვი. სადგურ ვისელკი რაზვიტა და კოზირკის შუა ერთმანეთს დაეჯახნენ საქონლის მატარებლები. დაიმტვრა 7 ვაგონი, და ორივე ორთქლმავალი. დაშავდნენ მაშინისტები და მათი თანაშემწეები, და სამი კონდუქტორი.

ვარშავა. ოლქის სასამართლომ განიხილა გენერალ ნიკიფოროვის და „ვარშავსკოე უტროს“ რედაქტორის უსმანის საქმე. მათ უჩიოდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ალექსეევი, ცილი დამწამესო. სასამართლომ გადაუწყვიტა: გენერალ ნიკიფოროვს ერთი თვით სახლში, და უსმანს ერთი თვითვე პოლიციასთან დაპატიმრება.

კრონშტანტი. სამხედრო სასამართლო შეუდგა საზღვაო კაპიტან ბალტინის და სვეაბორგის ჯარის კომისარის ჩევანოვის საქმის გარჩევას. ჰბრალდებათ საიდუმლოთ მატროსების ტანსაცმელის გაყიდვა.

ახალი ამბავი

ტფილისი

წ.-კ. საზოგადოების განყოფილება ფოთში. 7 თებერვალს ქალაქის გამგეობის დარბაზში ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით გაიმართა ქ. შ. წ.-კ. საზ. ფოთის განყოფილების დამფუძნებელთა კრება. გამოცხადდა 51 ნამდვილი წევრი. კრებამ აირჩია განყოფილების გამგეობის თავმჯდომარედ ქალაქის თავის მოადგილე ი. მეუნარგია, გამგეობის წევრებად. ქნნი ანნა მიქაბერიძისა, პარასკევა ქავთარაძისა, ბ-ნნი ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ა. იგულოვი, მღ. კელენჯერიძე, ვლ. გაგუა, გ. საბახტარიშვილი, იოსებ კოხრეიძე, ლავრენტი წულაძე, აქვსენტი მევრელიძე და ლვ. ტუღუში. კანდიდატებად: იასონ ალექსიშვილი, კოწია გამყრელიძე და სიმონ ორაგველიძე. კრებამ განსაზღვრა თავის სამოქმედო რაიონი და დაადგინა, ეთხოვოს მთავარ გამგეობას, გახსნას ფოთში წ. კ. საზ. განყოფილება.

◆ **კიდევ გადაბრუნდა ვაგონი.** გუშინ წინ, 9 თებერვალს, ცოტას გადა, არ განმეორდა 5 იანვრის უბედურება. ორთაჭალიდან მოდიოდა ვაგონი № 3. როდესაც ვაგონი მიახლოვებია ტოლეს საპნის ქარხანას, რაღაც მიზეზით ვაგონი ცალ გვერდზე გადაზნექილა და მოულოდნელად გადაბრუნებულა. ვაგონი დაზიანებულა, მაგრამ, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, თუმცა მგზავრები ძალიან შეშინებულან. უკვე შეუდგნენ ვაგონის გადაბრუნების მიზეზის გამორკვევას.

◆ **ხელშეკრულება.** ტფ. ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმად, გუშინ ქალაქის თავის მოადგილემ ოფიციალურად მიმართა ტრამვაის დირექტორს ბატაილს და მოსთხოვა გაუგზავნოს გამგეობას ის პირობა, რომლითაც უსახელო საზოგადოება შეეკრა ხმოსნად ნამყოფ ს. მირზოევს ჟურნალისტების მოსასყიდად. გამგეობა ამ პირობას ითხოვს იმ აზრით, რომ საქმის ვითარება სავსებით გამოარკვიოს. თუ ვინიცობაა ეს საბუთი, სწერს ქალაქის მოადგილე, ბრიუსელში გაგიგზავნიათ, გამოითხოვეთ და გამოგვიგზავნეთო.

◆ **თავდასხმა.** „კასპის“ სიტყვით, 1 თებერვალს, საღამოს 7 საათზე სამი ქართველი თავს დასცემია მეშადი-კული-ოღლის სახლს. ბოროტგამზრახველებს წაუქცევიათ მეშადი-კული-ოღლი, წაურთმევიათ 180 მანეთი და ოქროს საათი და მიმალულან. გრადონაჩალნიკს განკარგულებით დაუპატიმრებიათ 20 ქართველამდე და დაზარალებულისათვის უჩვენებიათ. დაზარალებულს ერთი მათგანი უცვნია, იგი დაუპატიმრებიათ.

◆ **მთავარი ბუხჰალტერი.** როგორც წინადაც ვწერდით, ტფ. ქალაქის გამგეობის მთავარი ბუხჰალტერი ბ-ნი ერმიშევი ავადმყოფობის გამო ერთი წელიწადია სამსახურს ვეღარ ასრულებს. ქალაქის გამგეობამ 9 თებერვალს დაადგინა, ბ-ნი ერმიშევი განთავისუფლებულ იქმნას სამსახურიდან. მთავარ ბუხჰალტრის თანამდებობის აღმასრულებლად გამგეობამ დანიშნა მდივანი სტეფანე დანდუროვი, ხოლო გამგეობის მდივნად ვლადიმერ ლიპსკეროვი. მთავარ ბუხჰალტერს წელიწადში 4000 მანეთამდე აქვს.

◆ **დიპლომი.** შარშან შემოდგომაზე ტაშკენტში, იმიერ კასპიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების 50 წლის არსებობის საიუბილეო გამოფენა გაიმართა. ექსპერტად სხვათა შორის მოწვეული იყო ტფ. საბაღოსნო სასწავლებლის ყოფილი მართველი ს. ხუნდაძე. საიუბილეო კომიტეტი ატყობინებს კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ ბ-ნმა ხუნდაძემ დიდი ამაგი დასდო კომიტეტს საექსპერტო კომისიაში მუშაობით და ამიტომ საპატიო დიპლომი მიესაჯაო.

◆ **ხელშეკრულება ფუნიკულერის შესახებ.** გუბერნატორი სთხოვს ტფ. ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს ფუნიკულერის გამო დადებულ ხელშეკრულების პირი.

◆ **მკვლელობა.** 7 თებერვალს სოფ. მეტეხში (გორის მაზრა) ჩხუბი მოსვლიათ მიხა დათაშვილს და ილია დათაშვილს. ჩხუბის დროს მისულა მიხას შვილი იოსები და შველება დაუწყვია. ილა დათაშვილს უძრია ხანჯალი და ჯერ იოსები მოუკლავს და მერე სასიკვდილოთ დაუჭრია მისი მამა მიხა.

◆ **ბოქაული.** ტფ. პოლიცმეისტერის საგანგებო საქმეთა მინდობილების მოხელე მოროზოვი დაინიშნა ტფ. პოლიციის მე-2 ნაწილის ბოქაულის თანაშემწედ.

◆ **საელექტრონო სადგური.** 18 თებერვალს ტფილისში მოელიან პროფესსორ არტემიევს, რომელიც მონაწილეობას იღებს ქალაქის საელექტრონო სადგურის პროექტის შემუშავებაში. ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, ტეხნიკოსებმა მოამზადონ სადგურის შესახები მასალა, რომ პროფესსორის ჩამოსვლისათანავე შეუდგეს მისს შესწავლას.

◆ **სხდომა.** დღეს, 11 თებერვალს, საღამოს 8 საათისთვის, დანიშნულია სხდომა წ. კ. საზოგადოების მთავარ გამგეობის მიმდინარე საქმეების განსახილველად.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ კარგა მოზდილი ადგილი შეიძინა მამადავითში ქალაქის სკოლისათვის საკუთარ შენობის ასაგებად. სასკოლო კომისიამ დაადგინა, დაავალოს ახმედოვისეულ ადგილზე შენობის პროექტის შედგენა და ხარჯთ-აღრიცხვის შემუშავება არქიტექტორს ზურაბიანცს. შენობა უნდა შეიცავდეს ოთხ-კლასისათვის ოთახებს. თითო კლასში უნდა ეტეოდეს 50 მოსწავლე. გამგე-კომისიამ დაადგინა აგრეთვე, მეორე სართული დაადგას პუშკინის სახელობის ქალაქის პირველ სასწავლებლის შენობას. შენობა დამთავრებულ უნდა იქმნას ზაფხულში.

◆ გორის სადგურის მახლობლად იშოვნეს მატარებლისაგან გასრესილი სოფ. კიზილ ხაჯილ (ბორჩალოს მაზრა) ნასიბ კარბალ ოღლი. ამისთვის ზედ თავზე გადუვლია მატარებლის თვალს.

◆ 9 თებერვალს ქალაქში შემდეგი ამბები მოხდა: დააპატიმრეს რაჭველი სანდრო კალმახელიძე, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნება-დაურთველად დაბრუნებულა. იმავე დღეს ერისთავის ქუჩაზე დააპატიმრეს ეფემია და მისი შვილი ისააკ სიდამონიძეები, რომელთაც მოპარულ ნივთების მიბარება და დამალვა ჰბრალდებათ. ვაჭრის მელიქ-მუშკანბარიანცის მაღაზიაში, შუა-ბაზარში, შეუნიშნავთ, რომ ვიღაცებს სისტემატიურად გაჰქონდათ საქონელი. 8 თებერვალს მაღაზიაში შესულა ვიღაც უცნობი და განუზრახავს მატერიის მოპარვა. ქურდი დააპატიმრეს. აღმოჩნდა ნუხის მოქალაქე ანდრია მარტიროსიანცი გაჩხრეკის დროს მარტიროსიანცს სხვა მოპარული ნივთებიც აღმოაჩნდა.

◆ მეღვინოვმა ტფ. ქალაქის გამგეობას ანდერძად დაუტოვა 12,000 მან. ამ ფულის სარგებლიდან ყოველ წელს სომეხთაგან ოთხ ღარიბ გასათხოვარ ქალს უნდა მიეცეს დახმარება. წელს სარგებელი ამ ფულისა 512 მანეთამდეა. გამგეობას შემწეობა სთხოვა 27-მდე გასათხოვარმა ქალმა. გამგეობამ 9 თებერვალს კენჭი უყარა კანდიდატებს. მიეცა ანნა ფარსადანოვს, ბარბარე ნიაზიანცს, შოგაკატ პოპოვიანცს და ანნა იარალოვს, თითოს — 130 მან.

◆ 7 თებერვალს გორში მცხოვრებს მიკიტანს მიხა ნარიაშვილს ერთ წვანილის გამყიდველთან ჩხუბი მოსვლია. გასაშველებლად მისულა აქვე მოვაჭრე გიორგი ჰუტყიანი. მიხა ნარიაშვილს თავის მოჩხუბარისთვის თავი დაუნებებია და ჰუტყიანისთვის რამდენჯერმე დაურტყავს დანა. ერთის დარტყმით მარჯვენა თვალი შუაზედ გადაუჭრია. ჰუტყიანი ტფილისში წაიყვანეს საექიმოდ, ხოლო დამნაშავე ნარიაშვილი შეიპყრეს და გორის გამომძიებელს გადასცეს.

◆ ტფ. მაზრის სოფელ ვაშლოვანის მახლობლად ტყეში 6 თებერვალს ცოცხალ მკვდარი უნახავთ ამავე სოფლის მცხოვრები ბამარ ჩოხონაშვილი, რომელსაც ჭრილობა ჰქონია. ჩოხონაშვილი მეორე დღეს გარდაცვლილა. ტყიდან გაჰყოლიან კვალს და მისდგომიან ამ სოფელში ქალთა მონასტერს როგორც გამორკვეულა დარაჯს ბლისნიუკს ჩაუდენია ეს ბოროტ მოქმედება. ბლიზნიუკი გამომტყდარა და განუცხადებია, მონასტრის ტყე მეკონა, სადაც ჩოხონაშვილი ხეს სჭრიდა და იმიტომ მოვკალიო.

მოწერილი ამბავი

თელავი. უცნაურია, მკითხველს ეხსომება, რომ თითქმის ერთი წელიწადია ადგილობრივი თავად-აზნაურობა და ქალაქის თვით-მმართველობა შუამდგომლობენ თელავში პროგიმნაზიის გახსნას. მაზრის თავად-აზნაურთა მარშლის თავ., მაქსიმილიანე ჭავჭავაძის წყალობით, რომელსაც ამ საქმეში დიდი ამაგი და შრომა მიუძღვის, წარსულ დეკემბერში მიიღეს ნებართვა გაეხსნათ სასწავლებელი. რადგან საქმის ინიციატორნი ზაფხულიდანვე ემზადებოდნენ, თხოვნებიც-კი მიიღეს, მხოლოდ ნებართვაზე-და იყო დაბრკოლება, ამიტომ ყველა დარწმუნებული იყო, რომ, როგორც გვპირდებოდნენ, პროგიმნაზიას გახსნიდნენ პირველ იანვრიდან, მაგრამ საქმის განხორციელებაზე რომ მიდგა ჯერი, ისეთი უთანხმოება ჩამოვარდა ქალაქის და თავად-აზნაურთა შორის, რომ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამავე საგანზე ბევრს ლაპარაკობენ მცხოვრებნი, ვითომ ამ განხეთქილებას სარჩულად პირადი ინტერესები ედოს. რამდენად საფუძვლიანია ეს ხმები, ამის განხილვას აქ არ შევუდგები, მხოლოდ მინდა მიუდგომლად გადავცე მკითხველს საქმის ნამდვილი ვითარება.

დეკემბერში, ნებართვის მიღების უმალვე, უნდა დაექირავებინათ შენობა, მოეწყოთ იგი, მოეძებნათ და მოეწვიათ გამგე და მასწავლებლები, ამისათვის-კი უნდა შემდგარიყო პროგიმნაზიის მომწყობი კომიტეტი, რომელსაც დროებითი ხასიათი ექნებოდა. ქალაქის გამგეობის აზრით, რადგან პროგიმნაზიის გახსნის ნება მიეცა თავად-აზნაურობას და ქალაქს და მომავალში მათვე უნდა შეინახონ სასწავლებელი, ამისათვის მომწყობი კომიტეტიც უნდა ამორჩეულიყო თავად-აზნაურობის და ქალაქის მხრივ თანასწორად, მხოლოდ თავად-აზნაურობის აზრით — ამ საქმეში აქამდე მუშაობდა პროგიმნაზიის დასაარსებლად ფულის შემკრეფი კომიტეტი, რომელშიაც შედიან როგორც თავად-აზნაურები, ისე მოქალაქენი, მოხელეობა და სხვა წოდების წარმომადგენელნი და რომელმაც ბევრი საქმე გააკეთა, თითქმის ამ კომიტეტმა გამოითხოვა ნებართვა და 5000 მანეთამდე შეკრიფა და სხვა. ამისათვის პროგიმნაზიის მომწყობი კომიტეტი ამათ შორის უნდა აერჩიათ. ამ ნიადაგზე დაიწყო უთანხმოება და შემდეგ არა თუ განხეთქილება მოხდა ურთ-ერთ შორის, არამედ საკითხი ისე გამწვავდა, რომ გუბერნატორამდე მიაღწია და ალბად მას მოუხდება და ამ საქმეში ჩარევა საქმის მოსაგვარებლად.

აი რა იყო მიზეზი იმისა, რომ აქლემები წაიჩხუბნენ და კოზაკი შუაში გაჭყლიტეს, ამასთან უნდა დაუმატო, რომ თავ.-აზნაურობა მომხრე იყო პროგიმნაზიის იანვარში გახსნისა, ქალაქის გამგეობა-კი მომავალ ენკენისთვეში, მხოლოდ თუ იმ „წყეულ“ მომწყობ კომიტეტის შედგენაში შეთანხმებოდნენ, მაშინ წინააღმდეგი არ იქნებოდა სასწავლებელი იანვარშივე გახსნილიყო, მაგრამ ვიდრე ამათ ერთმანეთში მიწერ-მოწერა და ლაპარაკი ჰქონდათ (ეხლაც არაა გათავებული საქმე), იანვარი გავიდა და მომზადებული მოსწავლეები დაქსაქსულნი დარჩნენ. ეხლა აღარავინ იცის, როდის მოეღება ბოლო უთანხმოებას და როდის გადავა სიტყვა საქმეზე. **დავიწყებული.**

—

ქიზიყი. ქიზიყელთაც თავი დაგვიკრა ადგილ-მამულის დაკარგვისა და უთვნა არ უთვნის საკითხმა, მაგრამ ჩვენ ჯერაც ბურანიდან ვერ გამოვრკვეულვართ და ვერ შეგვიგნია სიდიადე და სიძნელე ამ შავბედით, უკუღმართ მდგომარეობისა. აი, ერთი თვალსაჩინო მაგალითი ასეთის უნუგეშო მდგომარეობისა.

რამდენიმე ხნის თუ საუკუნის წინად აწინდელ სოფელ ჯუგაანის მკვიდრთა წინაპარნი, როგორც გადმოცემით იციან ჯუგაანელებმა, გადმოსახლებულან ალაზან გაღმიდან, ლაგოდეხს იქით, ლეკების სოფელ ბელექანს მახლობლად მდებარე ადგილ მაწიმიდან. თუმცა წინად იქ მოსახლეობას კვალი ემჩნეოდა, მაგრამ ამ ბოლო დროს კარგი გამოცდილი თვალი თუ შეამჩნევდა ამ მოსახლეობას. მიუხედავად ამისა, უმიწა-წყლობით შეწუხებულთათვის ხელსაყრელი სამოსახლო, საცხოვრებელი ადგილია, შემკული ყოველგვარის ღირსებით: უხვი სარწყავი წყლებით, ახლო ტყე, სახნავი და ზომიერი ჰავა. ერთი ნაწილი ჯუგაანის მცხოვრებთა, დასახლოვებით სამოც კომლამდის, უღარიბესნი და უადგილ-მამულობით შეწუხებულნი, კარგა ხანია მიილტვოდნენ ამ ადგილისაკენ, რადგან ამასთან გაგებული ჰქონდათ, რომ ძველ გეგმებში „მაწიმი“ სოფ. ჯუგაანის კუთვნილებად არის სახელწოდებული. ბევრ გზას მიჰმართეს ადგილობრივ და ტფილისშიაც, აუარებელი ფული და ჯაფა მოცდენა დახარჯეს, მაგრამ ყოველი მათი ლტოლვა და სურვილი გულქვა სიპის ქვას სიმაგრეზე იმსხვრეოდა. მრავალმა წელმა განვლო ამ ტანჯვა-ვაებაში, რომ შარშან ადგილობრივმა ლაგოდეხის ტყის მცველმა, რომლის მახლობელ გამგებლობაშიაც ის ადგილია, ჯუგაანელ რწმუნებულთ გამოუცხადა, ამა და ამ დროს „მაწიმის“ საჯარო ვაჭრობაა დანიშნული თორმეტის წლით იჯარით გასაცემად და თუ გსურთ, მობრძანდითო. სხვა პირობით, ე. ი. სასარგებლოდ დიდის ხნით „მაწიმის“ გაცემა არ შეიძლება, რადგან მთავრობას სხვა მოსაზრებები აქვსო... ჯუგაანელებმა ამ, თუმცა არა ხელსაყრელ, პირობაზედაც თანხმობა განაცხადეს, იქნებ შემდეგ მაინც ღმერთმა მოგვხედოს და ჩვენი ჩვენვე დაგვრჩესო.

ვაჭრობისათვის დანიშნულ დღეს ჯუგაანის რწმუნებულნი გამოცხადდნენ ადგილობრივ. მრავალი შემცილე მოსულიყო ამ ადგილის იჯარით ასაღებად, მაგრამ როდესაც რწმუნებულებმა დაუხატეს აქ მყოფთ თავიანთი ამდენის ხნის ტანჯვა-ვაება, თავიანთი უზომო გაჭირვება, ყველამ უარი განაცხადა ჯუგაანელთა სასარგებლოდ. იქვე დაიწერა პირობა „მაწიმის“ იჯარით 12 წლით სარგებლობისა. გახარებულმა რწმუნებულმა არც კი იცოდნენ სიხარულისაგან, რა პირობები იწერებოდა, და მოაწერეს ხელი. ჯუგაანელნი იმ კვირითვე შეუდგნენ მაწიმზე მოსახლეობის მოწყობას, ააშენეს ქოხები, მიზომილი ადგილი დაიყო გადასახლების მსურველთა შორის. მსურველთა ორი წილი კიდევ გადასახლდა მაწიმზე ცოლშვილით, ჯუგაანში გაჰყიდ-გამოჰყიდა რა ყოველივე რაც კი ებადა, მხოლოდ მცირე ნაწილი გადასახლების მსურველთა ჯერეთ ყოყმანობდა, ცოლშვილის წაყვანას არ ეჩქარებოდა, თუმცა თავის წილ ადგილ-მამულზე და ხარჯის გაღებაზე უარს არ ამბობდა...

ამ ყოფაში ერთი წელიწადიც არ გასულიყო, რომ ტყის მცველმა გამოუცხადა „მაწიმელთ“: „აიყარენით აქედან, იჯარის პირობა დაარღვიეთო, თქვენ ვინ მოგცათ უფლება ქოხების აშენებისა, მარტო ფაცხატურ-სააიები უნდა აგეშენებინათო; აბა პირობის ქაღალდი წაიკითხეთო“... ძალიან დასცხათ მაწიმელთ. დაღონდნენ, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, და გულშემატკივართა წყალობით აფრინეს შუამდგომლობა ტფილისში, საიდანაც ის პასუხი მოუვიდათ, რომ მაწიმელთა აყრა გადასდეთ ერთის წლით, სანამ გაზაფხულზე კომისია მოვა და საქმეს გაარჩევსო...

როგორც ამბობენ, ამ კომისიას აზრად შემდეგი ჰქონია: რადგან „მაწიმის“ მეზობლად მდებარე ლეკის სოფლებს ბელექანსა და უობადის დიდძალი ადგილ-მამული უჭირავთ და ინსტრუქციის ძალით კი თითო კომლს ოთხ დესეტინაზე მეტი არ უნდა ეჭიროსო, ამიტომ დანარჩენი მამული უნდა ჩამოერთვათ და იმ ადგილზე შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულთაგან ორი სოფელი უნდა აშენდესო. მაწიმელნი ეხლავე შიშმა აიტანა, ფიქრობენ — თუ იმ განზრახულ ორ რუსის სოფელს უობადო-ბელექნელთა ჩამოთლილ-ჩამონაჭერი მამული არ ეყოთ, ჩვენ საიჯარო „მაწიმსაც“ იმათ მისცემენო. ამისი ნიშნები ეხლავე სჩანს. როგორც ზევითა გსთქვი, გადასახლების მსურველთა მცირე ნაწილმა ჯერ ხნობით ცოლშვილის წაყვანა ვერ გაბედა, მხოლოდ უარს არ ამბობს ხარჯ-გადასახადებზე. ჯიბრზე მაწიმელებმა მათი ადგილი იმერეთიდან გადმოსახლებულთ დაუთმეს. ეხლა დღე არ გავა ისე, რომ ტყის გამგე არ შეუთვალოს მაწიმელთ — თქვენ მამული არა გჭირდებათ, რადგან იმერეთიდან მოსულთათვის დაგითმიათ, ამიტომ მალე აიყარენითო...

X.

თეატრი და ხელოვნება

პეტერბურგი. იყო დრო, როდესაც ქართული საღამო ღირს-შესანიშნავ მოვლენას წარმოადგენდა. პეტერბურგის საზოგადოების მაღალი წრეც კი აქცევდა ყურადღებას ამ ტრადიციონულ საღამოს და თუ დიდში არა, მცირე სამზადისში მაინც იყვნენ. ასეთ უზარმაზარ ქალაქში კი მცირე ყურადღების მოპყრობაც ბევრ რასმეს წარმოადგენს და არ არის ისეთი ადვილი საქმე, როგორც სხვაგან. ასეთ ინტერესის გამოწვევის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი თვით საღამოს ხასიათი იყო და სულ მუდამ იქნება: ქართული

რუშემო. ვინ იცის? ვინ იცის სხვა, კიდევ უფრო რთული საიდუმლოებანი კოსმოსისა, რომლის ახსნას ამაოდ სცდილობს მაძიებელი კაცობრიობა?..

ასეთივე ღრმა, ხშირად განუჭვრეტელი საიდუმლოებაა კაცობრიობის სულიერ კულტურის მომავალიც. ფიზიკურს მოვლენათა სფერაში, სადაც ყოველივე ენერგიის საერთო ჯამის უცვლელობაზე და მიზეზ-შედეგობის ეკვივალენტობაზეა დამყარებული, კიდევ შეიძლება რამდენიმე მარტივ მოვლენის წინასწარმეტყველება. მაგრამ ფსიხიური განვითარება არ ემორჩილება ენერგიის იგივეობის კანონს, აქ მიზეზი და შედეგი ეკვივალენტურს დამოკიდებულებაში აღარ იმყოფებიან ურთიერთის შორის. იგივე წარმოდგენანი, გრძნობანი და ნებისყოფის აქტნი, რომელიც ერთს მომენტში მიქელ ანჯელოს „მოსეს“ ან „შეჯაჭვულს მონათ“ ჰქმნიან, რომელიც ერთ მომენტში ნაყოფიერნი და ცხოველმყოფელნი არიან, როგორც მისი „დღე“ ან „ცისკარი“, მეორე მომენტში „დაქანცულნი განისვენებენ“, როგორც მთვლემარე „მწუხრი“ ან მძინარე „ღამე“. ვის ძალუძს ახსნას ბნელი ზეწარი მომავალს. ვის შეუძლიან სთქვას, თუ რას მოგვიტანს სულიერს კულტურაში ხვალინდელი დღე?..

საიდუმლოებით გარემოცული, ისტორიულის ბედისწერით განსაზღვრული, ქენჯნილი შინაგან წინააღმდეგობებით, კაცობრიობა ბრძოლით და შემოქმედებით იკვალავს გზას უზენაეს იდეალისკენ. ძველი ღმერთები ჰქრებიან, ძველი მოძღვრებანი, რომელნიც კაცობრიობას სათუთ ნებიერებისა და უმოქმედო ნეტარებისკენ უწოდებდნენ, ჰკარგავენ თავიანთ ბრწყინვალებას და მიმზიდველობას. მათ ადგილს იჭერს იდეა აქტიურ, ტრაგიკულ ადამიანობისა. საჭიროა ავმაღლდეთ ამ სერიოზულ გარემოების შეგნებამდე. საჭიროა დავინახოთ, რომ ცხოვრება სახუმარო ვოდევილი კი არ არის, რომელიც ინტრიგებით იწყება და ყველასთვის სასიამოვნო მხიარულებით თავდება, არამედ დიადი დრამა, რომლის თვითეული მომენტი უძლიერეს თვითმოქმედების, უუფართოეს შესაძლებლობის გამოაშკარავებას მოითხოვს. საჭიროა თავი დავანებოთ სასწაულის ლოდინს და ვიწამოთ, რომ „მკვდრეთით აღდგომა“ ამავე ცხოვრებაშია შესაძლებელი და ზნეობრივად სავალდებულო...

დიდმა ტრაგიკულმა შემოქმედებმა ხშირად გვაგრძნობინეს ესთეტიურს სფერაში ცხოვრების ეს განუზომელი სიმდიდრე, მიუწდომელი კოსმიური სიდიადე, და „მშვენიერი საშინელება“... ჯერ ცხოვრების უძლეველი ინსტინქტი და ბუნებრივ ელემენტარულ ნიჭთა შეუგნებელი არსებობა ან მათი თვლემა იდუმალს სიღრმეში... შემდეგ მათი თან და თან შეუჩერებლად ზევით წამოდგომა, ან მოულოდნელად და სწრაფად გამოღვიძება... მტანჯველი ლტოლვა დაუსრულებლობისა და უსაზღვრობისკენ, სულიერი გათიშვა, უკმაყოფილება... ბედნიერების დაუცხრომელი წყურვილი და უკვე მიღწეულ ბედნიერების უკუგდება, როცა მისი დამამდაბლებელი თვისება აშკარავდება; ან იმედის გაცრუება, როცა იგი ისე ბრწყინვალედ არა ჩნდება, როგორც შორიდან იყო მოსალოდნელი. სევდა და გულმოსკვნილი გოდება უკვე დაკარგულ ბედნიერებისა და სასოების გამო, რომლის დაბრუნება აღარავის ძალუძს... მუდმივი ძიება ნათესავ სულისა, გულწრფელი და უმანკო მოწოდება მეგობრობისა, ერთობისა, სიყვარულისადმი, რომელსაც გულწრფელი და უმანკო გამოხმაურება უპასუხებს. სრბოლა ამ ხმისაკენ, გზის დაკარგვა, აუტანელი მარტოობა და სასოწარკვეთილი გულის გამგმირავი ძახილი, რომელსაც უკვე ის მეორე ხმა აღარ იმეორებს... მწირთ უთვისტომობა სადღაც შორს უუმაღლეს მთების მწვერვალებზე, თავზარდამცემი ქარიშხალი, იდუმალი ტყის ხმაურობა. და უძლეველი, გულის შემკუმშავი ნდომა ბარისკენ დაბრუნებისა... ადამიანების აღმოჩენა, შფოთი დღესასწაული, უზრუნველი სიმღერა და მუსიკა, რომელშიც ხელახლა ისმის ის ნაცნობი მელოდია: მაგრამ თავისი უმწიკვლო და წმინდა ხასიათი მას უკვე დაუკარგავს... ჰრელი პროცესია, რომელშიაც გონიერება და უზრობა, კეთილშობილება და გაიძვერობა, ბედნიერება, ცრემლთა ფქვევა და სიცილხარხარი ერთიმეორეშია არეული. ის პროცესსია მკვდრებს მარხავს, რათა თავისუფლად წავიდეს წინ ახალ ცხოვრებისაკენ...

განა ცხოვრება ისეთი არ არის, როგორც ის დიდმა ბეტჰოვენმა ან დიდმა ბერლიოზმა დაგვიხატა!?..

გერონტი ქიქოძე.

სიმღერები, ცეკვა-თამაში, განსაკუთრებულად ლეკური, ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა საზოგადოებაში, და 1910 წელს 29 იანვარს გამართულ საღამოზედაც ასე მოხდა. რამდენიმე თვით ადრე არჩეული საბალო კომისია მთელ თავის ძალას და გამოცდილებას ხმარობდა, რაც შეიძლება საინტერესოდ გაეხადა საღამო და შედეგიც სწორედ მის მხნეობაზე იყო დამოკიდებული.

ისიც უნდა შევნიშნო, რომ საღამოს გამართვა მარტო ფულის შემოსვლით არ განისაზღვრებოდა. ქართულ საღამოებს სულ მუდამ მატერიალურ ინტერესთან ესთეტიური ინტერესიც ჰქონდა, კულტურ მხარესაც არ ივიწყებდა. ქართველი სტუდენტობა ამ საღამოთი აცნობს თავს რუსულ საზოგადოებას. აქ, ამ საღამოზე ვაცნობდით უცნობ ხალხს ჩვენს კულტურის ზოგიერთ დამახასიათებელ მხარეს, ჩვენს სულიერ ძალას. მხოლოდ ამით შეიძლება იმისი ახსნა, რომ თუმცა 1904 წლიდან შემოსავალი საღამოსი თან და თან კლებულობს, მაგრამ მაინც მუყაითად და თავდარიგიანად იმართება ყოველ-წლიურად ქართული საღამო ან ბალი და საზოგადოებაც კმაყოფილი ბრუნდება შინ. მართალია, ხან და ხან ქართველური ხასიათი მოისურვებდა ხოლმე ფრთების გაშლას და სცენაზე ხანჯლების ტრიალიც მომხდარა, მაგრამ მაინც არ მოიძულა რუსულმა საზოგადოებამ საღამო, თუმცა დამფრთხალ შეშინებულს ბევრჯელ მოუკურცხლავს შინისაკენ.

29 იანვარს გამართული საღამო, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, მე-50-ე საიუბილეო ბალი, ქ-ნ იავორსკაიას თაოსნობით, ერთ საუკეთესო და საინტერესო საღამოდ უნდა ჩაითვალოს.

საღამო გაიმართა თავად-აზნაურთა საკრებულოს უზარმაზარ დარბაზში, პირველად 1904 წლის შემდეგ. ბევრი პატივსაცემი პირი იღებდა მონაწილეობას სრულიად უსასყიდლოდ: თითონ პატრონესსა, მისი მეუღლე, საიმპერატორო თეატრების დამსახურებული არტისტი იაკოვლევი, ქ-ნი აბრამიანი, miss Magda, ჩვენი ახალგაზდა მომღერლები დოლონაძე და ჩიგიანი და სხვანი. თანხმობა განაცხადა აგრეთვე კონსერვ. პროფ. ნალბანდიანმა, მაგრამ, რადგან ავად გახდა, მონაწილეობა ვერ მიიღო.

თავდაპირველად უნდა შევნიშნო რომ თუმცა საღამო საერთოდ მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენდა, ზოგიერთი ცალკე წვრილმანი მაინც და მაინც ვერ იყო უნაკლულო. მაგალითად, ჩემის აზრით, დეკორატიულ ნაწილის გამგენი ვერ მოიქცნენ კარგად, როცა ქ-ნი ლორთქიფანიძის ასული, თამარის ტანისამოსში გამოწყობილი, ციხეში მიაქციეს და იქიდან აყიდვინებდენ ყვავილებს. ასეთის წარმოდგენისა თამარზე ლერმონტოვი იყო და „ბირჟ. ვედ.“ თანამშრომელი არის ხოლმე. მოსაწყენი იყო ბ-ნთ ბარიატინსკისა და ბარანცევიჩის დეკლამაცია. გაუგონარიც დარჩა ის, თუ რას კითხულობდნენ (წაიკითხეს „რევიზორიდან“ ხლესტაკოვის და გოროდნიჩის შეხვედრა სასტუმროში). ასეთივე უფერული იყო ბ ნ ბარიატინსკის და ქ-ნ იავორსკაის დეკლამაცია (წაიკითხეს „დემონიდან“ თამარის და დემონის დიალოგი). დანარჩენი ნაწილი სადღესასწაულოთ იყო მოწყობილი.

საღამო „მრავალჟამიერით“ დაიწყო და კიდევ კარგი, რომ ხოროში აღმოჩნდა ერთი სტუდენტი, რომელმაც შესძლო do-ს აწევა, თორემ იძულებული იქნებოდნენ ტენორებს ფალცეტით ემღერათ და არც კი გამოჩნდებოდა მათი ხმა. ამის მიზეზი იყო ხოროს ტონის მიმცემი სტ. გოგიტიძე, რომელმაც силъ своихъ не расчиталъ. შეასრულეს ჩვეულებრივათ რამდენიმე ქართული სიმღერა: „რერო“, „მერცხალი“, „დილა“, „სამშობლო“, „ლილე“, „მურმან“, „ვახტან“; „გოგონა“ და „ფაცხა“.

ხოროს და ორკესტრს ჩვეულებრივად დიდის ოსტატობით მართავდა ამ საქმეში დახელოვნებული ბ. ფოცხვერაშვილი და თუ არა ის, შეუძლებელი იქნებოდა ხოროს მომზადება ასეთ მოკლე დროში (სულ ორი, სამი კვირა). ამ საღამოს პირველად ვნახე ჩვენი ახალგაზდა მომღერალი დოლონაძე, ბარიტონი და ჩიგიანი, ტენორი (დრამატიული). ორივეს შესანიშნავი ხმა ჰქონია. ძლიერი, ტკბილი და საკმაოდ შემუშავებული. განსაკუთრებით დააჯილდოვეს დოლონაძე ტაშის ცემით. როცა მან მშვენივრად იმღერა ბალანჩივაძის „ქართული რომანსი“. ჩიგიანმა კი მოლოდინს გადააჭარბა, როცა პეტროვის „не рѣвъ“. იმღერა და ტაშის ცემაზე მადლობის ნიშნად „მადლობელი“ შემოსძახა. მშვენივრად იმღერა აგრეთვე იაკოვლევმა „გიმენცის ქება“.

ამ საღამოს პირველად გაიგონა საზოგადოებამ ჩვენის კომპოზიტორის ბალანჩივაძის „თამარ ცბიერის“ პირველ მოქმედების მეორე სურათი. დოლონაძემ კარგად ჩაატარა გოჩას არია და თუმცა ხორო და ორკესტრი ერთმანეთს ვერ შეეგუა დასაწყისში, მაგრამ ფოცხვერაშვილმა ამ განსაცდელსაც სძლია და ბოლოს ყველაფერი კარგად დამთავრდა. მუსიკის მხრივ ეს სურათი საერთოდ ხელოვნებითაა შეწყობილი, მაგრამ საუცხოვო რამ არის დავლური და ლეკური, რომელიც ლირიკულ სახეს ატარებს. ბალანჩივაძეს მშვენივრად შეუთვისებია ქართულ მუსიკის, და განსაკუთრებით ლეკურის ხასიათი და ამით აიხსნება ისეთ მშვენიერ ლეკურის შექმნა, როგორც „თამარ ცბიერში“. საინტერესოა ამ ოპერის სცენაზე ნახვა, მაგრამ როდის ეღირსება?

ოთახები ლამაზად იყო მორთული: ერთ ოთახში იდგა მუზარადი ტარიელისა, მხოლოდ შიგ ტარიელის თავის მაგივრად სუფრა იდგა ყვავილებით. ერთი ოთახიც ხალიჩებით იყო მორთული აღმოსავლეთის გემოვნებაზე და სხვა.

ლეკური ითამაშეს ქ-ნთ ჩერქეზიშვილისამ, ნაცვალიშვილის ასულმა, სტ. ნატროშვილმა და ცაგარელმა. ბოლოს სცენაზე გამოჩნდა თვით საღამოს გამგე და იცეკვა ლეკური. რასაკვირველია ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

საერთოდ საღამომ ჩინებულად ჩაიარა, და რაც ყველაზე უფრო სასიამოვნოა, უჩხუბროდ. მაშ! ჩხუბი არ მომხდარა. შემოსავალი არ დარჩა იმდენი, რამდენსაც მოელოდნენ, თუმცა ჯერ გადაწყვეტით არ შეიძლება ითქვას რამდენია.

მოსე დ--იანი.

ქართული წარმოდგენა. მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა ი. პოტაპენკოსი „მომხიბლავი ზღაპარი“, თარგ. შ. დავითაშვილისა. პიესაში მონაწილეობას იღებს მთელი დასი და ქუთაისიდან საგასტროლოდ ჩამოსული ნ. დავითაშვილი და აგრეთვე ვ. ალექსი-მესხიშვილი.

მ. ი. ჩოგოვაძის დაკრძალვა

(ქუთაისიდან)

კვირას, 7 თებერვალს, დილიდანვე ბალახვანის ქუჩაზე არაჩვეულებრივი მოძრაობა იყო. ამ დროს ეკლესიაში ესვენა უდროოდ გარდაცვალებულის მ. ი. ჩოგოვაძის ცხედარი. 11 საათზე მთელი ბალახვანის ქუჩა გაიჭედა ხალხით. ეკლესიის გალავანთან და ქუჩაზე პოლიციელები და დარაჯები იდგნენ, რომელნიც აღარ უშვებდნენ ხალხს. უკვე ძალზე გაჭედილს ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი შეასრულა იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ კრებულით. წირვა-პანაშვიდის დროს სიტყვები წარმოსთქვეს მღვდლებმა მ. ცაგარეიშვილმა, ე. კანდელაკმა (რუსულად) და სპ. ლეკვეიშვილმა, მასწავლებლებმა: ტრ. ჯაფარიძემ, ა. გორგოძემ და გრ. გიორგაძემ („ფონის“ რედაქტორმა, რუსულად) და საეპარქიო სასწავლებლის მოწაფე ქალმა. ბევრი სიტყვა გრძნობიერი იყო. ყველამ ერთხმად აღნიშნა განსვენებულის ღვაწლი.

პირველ საათზე კუბო გამოასვენეს ეკლესიიდან და დაასვენეს ეკლესიის წინ, ბალახვანის ქუჩაზე, სადაც მგოსანმა აკაკიმ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა.

„ბატონებო! გამოეთხოვა წუთი-სოფელს და დღეს უნდა ჩავაბაროთ ბნელ საფლავს ერთი საუკეთესო საზოგადო მოღვაწეთაგანი. ქუთაისს გარეშე, ეგები, ბევრმა არ იცოდა: ვინ იყო განსვენებული მელიტონ ჩოგოვაძე? და ჩვენი ვალია, აღვნიშნოთ მისი ვინაობა!.. ის იყო ღირსეული ადამიანი, თავდადებული ქართველი, უმწიკვლო თავისს ასპარეზზე და ჩუმი მოღვაწე და მიტომაც მისი შრომა-მოღვაწეობა შორსა და შორს თვალსა და ყურს არ ეჩხირებოდა ჩვეულებრივად. ამისთანა მოღვაწეები ხშირი არ არიან ჩვენში; მხოლოდ საუკუნოები წამოშობენ! რომ შეჰფერის ისე არ იმარხება: ვერა ვხედავთ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების წარმომადგენლებს! არსად არიან ჩვეულებრივად ვეცხლის გვირგვინები, მაგრამ ძვირფას გვირგვინად ედება მას ის მწუხარე სახე, რომელიც ეტყობა საერთოდ დღეს აქ, თავმოყრილ საზოგადოებას და ის ცრემლები ახალგაზდა მოსწავლეთა, თან რომ ჩაჰყვებიან სამარეში! ნეტავი მშობლებს, ამისთანა შვილის გამზრდელს! ვაი დედ-მამას ამისთანა შვილის უდროოდ დამმიწებელს!! და სამძიმარი საზოგადოებასაც, ამისთანა მოღვაწის დამკარგავს!! ვინატროთ ქვეყნისთვის ბევრი ამისთანა მოღვაწე და განსვენებულისათვის კი დაუვიწყარი სახსენებელი.“

შემდეგ დაიძრა პროცესია. ხალხი ქუჩაში რომ ველარ ეტეოდა, სახლების აივნებზე, ფანჯრებზე, სახურავებზე და ქვის ღობეებზე იყო გადმომდგარი. წესიერებას იცავდნენ სხვა და სხვა სასწავლებლის მოწაფენი, რომელთაც კარგად შეასრულეს ნაკისრი მოვალეობა. კუბოს წინ მიუძღოდა 60-მდე გვირგვინი, იყვნენ ამქრები თავიანთ ბაირაღებით. პროცესიაში დაახლოვებით 8—10 ათასი კაცი იქნებოდა. ამდენი ხალხი რომ განსვენებას დასწრებოდეს, გარდა გაბრიელ ეპისკოპოსისა და ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილისა, არავის ახსოვს.

კუბო სულ ხელით წაასვენეს სოფ. ბანოჯამდის. იმ ადგილას, სადაც ორპირის ქუჩას უერთდება საქუსლიის გზა, პროცესიას შემოეგება ბანოჯის სოფლის მღვდელი ცქიტიშვილი მთელი სოფლის მცხოვრებლებით. აქ გაკეთებული იყო სამგლოვიარო თაღი. მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა აქ მღ. ცქიტიშვილმა. აქვე სიტყვები წარმოთქვეს მღ. დუგლაძემ, ერთმა მანდილოსანმა, საეპარქიო სკოლების მასწავლებელთა წარმომადგენელმა, რ. კანდელაკმა ვ. ნაცვლიშვილმა და ქვიტირის საზოგადოების წარმომადგენელმა ნ. გ. ავალიანმა, რომელმაც გვირგვინით შეამკო კუბო. სიტყვების შემდეგ პროცესია გაემართა ბანოჯისაკენ საქუსლიის გზით, „მელიტონის გზა“-მდის (ეს სახელი უწოდეს იმ ძარა გზას, რომელიც მელიტონ ჩოგოვაძის თაოსნობითაა გაყვანილი წყალ-ტუბოსაკენ), რომელიც ქალაქიდან ორ ვერსზეა დაშორებული, თითქმის მთელი საზოგადოება მისდევდა კუბოს. ამ გზასთან კუბო დაასვენეს და სიტყვა წარმოსთქვა ერთმა მოწაფემ. შემდეგ საზოგადოების ერთი ნაწილი უკანვე დაბრუნდა. კუბოს მაინც დიდძალი საზოგადოება გაჰყვა (არა ნაკლებ 2,000 კაცისა), ზოგი ფეხით და ზოგიც ეტლებით. სოფ. ბანოჯაში მიცვალებული ცოტა ხნით თავის ეზოში დაასვენეს, სადაც გადახდილ იქმნა მოკლე პანაშვიდი. აქედან ცხედარი წაასვენეს სოფლის ეკლესიაზე დასაკრძალავად. სასაფლაოს წინ სიტყვა წარმოსთქვა ოთხმა კაცმა.

საღამოს 5½ საათზე ცხედარი მიაბარეს მიწას.

მიცვალებულის გასასვენებელი ხარჯი ქალთა საეპარქიო სასწავლებელმა და სასულიერო სასწავლებელმა იკისრეს.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლებმა, გვირგვინის ყიდვის ნაცვლად, დაადგინეს, შეკრებილი ფული ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გაუგზავნონ.

ისარა.

შორეულ აღმოსავლეთი

ომის მოლოდინი.

ვლადივოსტოკიდან ატყობინებენ „უტრო როსსიი“-ს: „ცეხის უფროსმა წარსულ ბედნიერ დღეებში გამოსცა ბრძანება, რომლითაც მცხოვრებლებს გაახსენა ომის დროის კანონები და შეატყობინა, თუ რანაირ წესებს უნდა დაემორჩილონ ომის დროსა. იაპონელები დირიჟაბლების საშუალებით ათვალიერებენ და ზვერავენ უსურიის მხარეს. მათი ჭაერში მფრინავი დირიჟაბლები რამდენსამე ადგილას შენიშნეს, სხვათა შორის ქალ. ნიკოლსკ-უსურიისკში. რუსეთმა გააძლიერა თავის საზღვრის დაცვა. შანხაიდან მოსულები ამბობენ, რომ იქ ყველანი ომს მოელიან გაზაფხულის დამდეგსათ. შორეულ აღმოსავლეთში ყველგან მეტის მეტად შეწუხებულია ხალხი. მანჯურიაში, რომელიც პურითა ჰკვებავს ჩვენს მუდამ დამშეულს ამურის მხარეს, ძლიერ აიწია ხორბლისა და ქერის ფასმა. მოელიან, რომ მალე რუსეთიდან გემები მოვლენ და სამხედრო უწყების ტვირთს მოიტანენო.

ჩინეთის გაკადნიერება.

იმავ გაზეთს ატყობინებენ ხარბინიდან:

გაჯავრებული იმით, რომ რუსეთი არ დასთანხმდა შეერთებულ შტატების წინადადებას მანჯურიის რკინის გზების გამოსყიდვის შესახებ, ჩინეთი მეტად კადნიერად ექცევა რუსეთს. მოსკოვიდან სამშობლოში მიმავალმა ჩინელმა პრინცმა, რომელიც ასეთის ალერსით მიიღეს რუსეთში, სულ არაფრად ჩააგდო რუსის მოხელეები, რომლებიც დიდის ამბით უპირებდნენ დახვედრას ხარბინში. მან უარი განაცხადა ამ დახვედრაზე და მხოლოდ უცხოელი კონსულები და ჩინელი მოხელეები მიიღო. ამას გარდა ჩინეთის მთავრობამ აუკრძალა თავის ხალხს ხორბლის მიტანა რუსის რკინის გზაზე მონღოლედან, ხულანფუდან და სხვა პროვინციებიდან. ამის გამო რკინის გზასა და რუსის ვაჭრებს—ალაფებს დიდი ზარალი მოუვიდათ. რუსეთის ელჩმა პროტესტი განაცხადა პეკინში, მაგრამ სრულიად ვერას გახდა. საყურადღებოა, რომ ჩინელებმა ვერაფერი ვერ გაუბედეს იაპონიას და მთელი ჯავრი მარტო რუსეთზე იყარეს.

ჩინელ პროგრესისტების კრება.

ჩინელი პროგრესისტები მეტად მხნედ განაგრძობენ აგიტაციას, რომ ჩინეთში რაც შეიძლება მალე დაწესდეს კონსტიტუცია. ჯერ კიდევ ერთი თვის წინად პეკინში დანიშნული იყო სხვა და სხვა პროვინციების პროგრესისტთა კრება. კრების სხდომები ერთ-ერთ კლუბში ხდებოდა. დელეგატები გულმხურვალედ ამტკიცებდნენ ეროვნულ კრების დაუყოვნებლივ მოწვევის და კონსტიტუციის დაწესების საჭიროებას. დელეგატები დასძინდნენ, მზადა ვართ სიცოცხლე შევწიროთ ამ საქმესაო.

— ჩვენ არა გვსურს სიცოცხლე როდესაც ჩვენი დაჩაგრული ხალხი სუნთქვა შეხუთული იღუპება. დიაღ, ჩვენი სისხლი დაიღვაროს სამშობლოს სასიკეთოდ. ყველგან და ყოველთვის საჭიროა მსხვერპლი და სისხლი და ჩვენც სიხარულით დავანთხევთ ჩვენს სისხლს სამშობლოს საკურთხეველზე.

კრების სახელით რეგენტს მიართვეს ძლიერად დაწერილი თხოვნა, რომ ჩინეთში რაც შეიძლება მალე დაწესდეს კონსტიტუციაო.

განცხადებანი

ვ. ყიფიანის დრამა
სამეგრელოს მთავარი
ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.
ფასი ორი აბაზი
იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ჟამად მან გამოუშო გასასყიდად უმაღლესად დაწმენდილი, ფილტრაციის საშუალებით, ახლად შეკეთებულ და გაუმჯობესებულ აპპარატებით, რომელთაც
პურის არაყი
დაჯილდოვებულია 1909 წლის პარიზის გამოფენაზე
უმაღლესის საჩუქრებით
● ფირმა განსაკუთრებით ურჩევს მუშტარს: ●
პურის არაყი № 101.
პურის არაყი № 50.
ღვინის და
კახური არაყი, რომელიც არ დაუარდება კანიაკს.
მოითხოვეთ ყველგან.
(10—გ.—2)

ქუთაისში ქირავდება
სიცოცხლის წყაროს
რესტორანის ბინა ბაღით. ქარვასლის ქუჩის ბოლოში თეთრ ხიდთან. გაქირავების პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება სახლის პატრონთან ეზოში, ანუ მის რწმუნებულ ივანე ბარქაიასთან მაღაზიაში. (10—კვ.—4)

სანერგე ამერიკულ ვაზისა
„კლდ-უგურული“ ქუთაისში.
● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●
1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.
მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.
აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—24)

პროვოდნიკის
1897 წ.
1908 წ.
1888
ამხანაგობა
რიგაში
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● იყიდება ნაღდად და ცალობით: ●
რეზინის საეკიპაჟო შინები,
პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი“ (წითელი),
პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,
მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.
„პროვოდნიკი“-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.

სტამბ. „ნიათლი“ რუსთ. ქუჩ. № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.